

ომი უკრაინაში. ყოველდღიური განახლებები . 10.00, 08.03.2022.

მოლაპარაკებები - რაუნდი 3. ორშაბათს უკრაინისა და რუსეთის დელეგაციები მოლაპარაკებების მესამე რაუნდზე შეხვდნენ. მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაციის საკითხი, კერძოდ ჰუმანიტარული კორიდორების საკითხი, რჩება პრიორიტეტად. მიხაილო პოდოლაკმა, პრეზიდენტის კაბინეტის მრჩეველმა და უკრაინის დელეგაციის ლიდერმა, [შეხვედრის შედეგები შეაჯამა](#): „გადაიდგა პატარა პოზიტიური ნაბიჯები ჰუმანიტარული კორიდორების ლოჯისტიკური საკითხების მოგვარებისმხრივ“. სხვა შეთანხმება ჯერ არ არის მიღწეული. დამატებითი ინტენსიური კონსულტაციები შეეხება, ცეცხლის შეწყვეტას პოლიტიკურ ბლოკს და უსაფრთხოებას, რაც მოლაპარაკებების შემდეგი ეტაპისთვის განიხილება.

ჰააგა. [“უკრაინა რუსეთის წინააღმდეგ”](#) საქმის წარმოება ოფიციალურად დაიწყო მარლთმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში. უკრაინის დელეგაციამ არგუმენტები წარმოადგინა რუსეთის მიერ გენოციდის კონვენციის შეურაცხყოფის შესახებ. თუმცა, რუსეთმა სხდომებს ბოიკოტი გამოუცხადა და სასამართლოში არ გამოცხადდა. ამიტომ უკრაინის დელეგაციამ სასამართლოს დროებითი ზომების დაწესებისკენ მოუწოდა, ძირითადად, 24 თებერვალს დაწყებული სამხედრო მოქმედებების დაუყოვნებლივ შეწყვეტის გზით. მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას დრო დასჭირდება, სამართლებრივი პროცესის დაწყება აუცილებელია რუსეთის მიერ ჩადენილი დანაშაულების დოკუმენტაციისთვის და ასევე რუსეთის შემდგომი იზოლაციის გასაგრძელებლად.

საგარეო პოლიტიკა. უკრაინისა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრები 2022 წლის 10 მარტს თურქეთში ომის დაწყებიდან ზუსტად ორი კვირის შემდეგ შეხვდებიან. თურქეთმა ადრე განაცხადა, რომ მზად იქნება შუამავლობისთვის ქვეყნებს შორის შეხვედრაში. ამიტომ, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩავუშოლლუმ გამოთქვა იმედი, რომ შეხვედრა ხელს შეუწყობს მშვიდობასა და სტაბილურობას. ევროკავშირმა ატომური ენერჯის საერთაშორისო ასოციაციას (IAEA) მოუწოდა უკრაინის ატომური ელექტროსადგურების დაცვისაკენ. ამჟამად ჩერნობილის და ზაპორიჟიას ატომური ელექტროსადგური რუსული ჯარების კონტროლის ქვეშაა. ამიტომ, IAEA მოუწოდებს მაქსიმალურად უზრუნველყოს უკრაინაში ბირთვული უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ევროკავშირის მუდმივ წარმომადგენელთა კომიტეტმა (COREPER II) [ოფიციალურად დაიწყო](#) უკრაინიდან, საქართველოდან და მოლდოვადან ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ განაცხადების შეფასების პროცესი. უნგრეთი არ დაუშვებს ლეტალური იარაღის გადატანას თავის ტერიტორიებზე. "ამ გადაწყვეტილების მიღების მიზეზი არის ის, რომ ასეთი მიწოდება შეიძლება განდეს მტრული სამხედრო მოქმედების სამიზნე", - [ამბობს](#) საგარეო საქმეთა მინისტრი პეტერ სიიარტო, თუმცა, გააგრძელებს უკრაინას ჰუმანიტარული დახმარების მიწოდებას.

ჰუმანიტარული დერეფნები. რუსეთმა [პირდაპირ ბრძანება](#) მისცა თავის ჯარისკაცებს, გაესროლათ უკრაინელი მშვიდობიანი მოქალაქეების მიმართულებით, მიუხედავად იმისა, ქალები იყვნენ თუ ბავშვები. ბრძანების დარღვევის შემთხვევაში მათ უფლება აქვთ დახვრიტონ ჯარისკაცი, რომელსაც არ სურს მოვალეობის შესრულება.

ორშაბათს იყო მცდელობა გაეხსნილიყო ჰუმანიტარული დერეფანი ირპინიდან, ბუჩადან, ჰოსტომელიდან. სულ 2000 ადამიანის ევაკუაცია განხორციელდა. თუმცა, კიევის რეგიონის ირპინის 30% რუსეთის ჯარების კონტროლის ქვეშაა. ამჟამად ამ ქალაქებს წყალი, გაზი და ელექტროენერჯია არ მიეწოდება, ასევე საკვების დეფიციტია.

ირინა ვერემჩუკი, უკრაინის დროებით ოკუპირებული ტერიტორიების რეინტეგრაციის საკითხების მინისტრი, ამბობს, რომ 2046 საერთაშორისო სტუდენტი 27 ქვეყნიდან სუმი ტყვეობაში იმყოფებიან. ინდოეთი – 659 სტუდენტი, ჩინეთი – 160, თურქეთი – 144, ნიგერია – 400 სტუდენტი. ისევე როგორც ახლო აღმოსავლეთის, ცენტრალური აზიის, აფრიკის, ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების მრავალი მოქალაქე, მათ შორის სამხრეთ აფრიკა, ყაზახეთი, სინგაპური და საუდის არაბეთი. უკრაინაში ევაკუაცია შეუძლებელია, რადგან მშვიდობიანი მოქალაქეები არ რისკავენ ქალაქის დატოვებას რუსული ჯარების მიერ სუმის გარეთ გამავალ გზებზე ძლიერი შეტევების გამო. რუსული ჯარები აიძულებენ უცხოელებს ევაკუაციას ბელორუსიასა და

რუსეთში, რაც შეიძლება სარისკო იყოს რუსეთსა და ბელორუსში ადამიანის უფლებების მიძიმე დარღვევის გამო.

მარიუპოლი 8 დღეა ზედიზედ ალყაშია. ქალაქში არ არის ელექტროენერჯია, სითბო, წყალი და საკომუნიკაციო არხები. სამი დღეა მშვიდობიანი მოქალაქეები ევაკუაციას ელოდებიან, თუმცა წინა ორი მცდელობა უკვე ჩაიშალა.

24 თებერვლიდან მაშველებმა ლუგანსკის ოლქის დასახლებებიდან დაახლოებით 6,4 ათასი, დონეცკის ოლქიდან კი დაახლოებით 3 ათასი ადამიანის ევაკუაცია მოახერხეს.

თავდასხმის ქვეშ მყოფი ქალაქები. რუსული ჯარები აგრძელებენ შეტევას, ძირითადი ძალისხმევის კონცენტრირებას ახდენენ კიევის, ხარკოვის, ჩერნიგოვის, სუმის, მარიუპოლის, მიკოლაივის ალყაში. სამოქალაქო ინფრასტრუქტურაზე დარტყმები გრძელდება. ორშაბათს რუსულმა ჯარებმა დაბომბეს მაკარივის პურის ქარხანა, რის შედეგადაც 13 ადამიანი დაიღუპა. ხარკოვის სუპერმარკეტი დაიბომბა, რის შედეგადაც 6 ადამიანი დაიღუპა და 15 დაშავდა. ხარკოვის რეგიონის იზიუმი სრულ ნანგრევებად იქცა, ამბობს ქალაქის მერი. რუსეთის მუდმივმა დაბომბვამ გაანადგურა ქალაქის ცენტრალური ნაწილი, ასევე ქალაქი ჰუმანიტარული კატასტროფის პირასაა. ომის დაწყებიდან რუსულმა ჯარებმა გაანადგურეს 90 სახლი მელიტოპოლში და შესაბამის რაიონში, ასევე ზაპორიჟიას მელიტოპოლში დამპყრობლებმა დაიკავეს სატელევიზიო ანძა და რადიოკავშირის ანძები. ბერდიანსკი, ზაპორიჟიას ოლქი გაუსადენის დაზიანების გამო გაზის მიწოდება შეწყდა. მიკოლაიევში საკრუიზო რაკეტა დილით სამხედრო ნაწილის შენობას მოხვდა და სადამოს ქალაქი კიდევ ერთხელ დაიბომბა. დაიღუპა რვა სამხედრო, 19 დაშავდა, რვა კი დაიკარგა. რუსეთის ჯარებმა ჟიტომირსა და ჩერნიგოვში ნავთობის საწყობებს დაარტყეს და მათ ცეცხლი წაუკიდეს. ოლჯიას საზღვაო პორტს თავს დაესხნენ. ღამით სუმი საჰაერო დაბომბვის ქვეშ იმყოფებოდა, რის შედეგადაც 9 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის 2 ბავშვი.

ჰარგი ამბავი! მიკოლაივის აეროპორტი უკრაინის კონტროლს ექვემდებარება! „რუსული არმია გააძევებს აეროპორტიდან და მიკოლაივის გარშემო რამდენიმე სხვა პუნქტიდან. ახლა ჩვენ ვეძებთ იმ დამპყრობლებს, რომლებიც გაიქცნენ“, - თქვა ვიტალი კიმ, მიკოლაივის რეგიონალური სახელმწიფო ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა. ასევე, ანტისაოკუპაციო აქციები გრძელდება უკრაინის სამხრეთით მარიუპოლში, დონეცკის ოლქში, სტარობილსკში, ლუგანსკის ოლქში, ჩაპლინკაში, ხერსონის ოლქში. ჩაპლინკაში რუსმა ჯარებმა აქციის მონაწილეებს ცეცხლი გაუხსნეს.

აქციები რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ. მარიუპოლში მასობრივი აქცია გაიმართა. ლუგანსკის ოლქის სტარობილსკის მოსახლეობა ოკუპაციის წინააღმდეგ აქციაზე გამოვიდა, დაწვეს LNR-ის დროშა და აღმართეს უკრაინის სახელმწიფო დროშა. ხერსონის ოლქის ჩაპლინკაში, რუსმა სამხედროებმა ოკუპაციის წინააღმდეგ აქციის მონაწილეებს ცეცხლი გაუხსნეს.

სანქციები. გლობალური სანქციები ძლიერ დარტყმას აყენებს რუსეთის ეკონომიკასა და ელიტას. რუსეთის წინააღმდეგ უკვე დაწესებულია 5800 სანქცია. ეს მსოფლიო ანტირეკორდია. ასზე მეტმა გიგანტურმა კომპანიამ უკვე დატოვა რუსული ბაზარი. [ბლუმბერგმა](#) სანქციების პროცესს „ფინანსური ბირთვული ომი“ უწოდა. რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა ორშაბათს გააორმაგა საპროცენტო განაკვეთი 20%-მდე, რადგან რუბლი, ქვეყნის ვალუტა, ყველა დროის მინუმუმამდე დაეცა, ამბობს [ფორბსი](#). ბლუმბერგი იტყობინება რუსეთის ეკონომიკის [პოტენციური დეფოლტის](#) შესახებ აპრილის შუა რიცხვებისთვის. უკრაინის უმაღლეს რადას (პარლამენტი) იტყობინება, რომ დანიის ენერგეტიკული კომპანია Ørsted არ გააფორმებს ახალ კონტრაქტებს რუსეთთან, რაც შეწყვეტს რუსული ნახშირის მიწოდებას მის ელექტროსადგურებთან. ოთხივე დიდმა კომპანიამ გაიყვანა თავისი ბიზნესი რუსეთიდან. სინგაპურის ბირჟის რეგულაციამ შეწყვიტა გაზპრომის აქციებით ვაჭრობა, ასევე სინგაპურის სატელეკომუნიკაციო კომპანიებმა StarHub-მა და SingTel-მა შეწყვიტეს რუსული სახელმწიფო მედიის RT-ის მაუწყებლობა. თვითმფრინავების მწარმოებელმა Boeing-მა რუსეთსა და უკრაინას შორის ომის გამო ტიტანის შესყიდვა შეაჩერა. სამუშაოს საძიებო პლატფორმა Upwork აჩერებს მუშაობას რუსეთსა და ბელორუსიაში. საგანმანათლებლო პლატფორმებმა Coursera და EdX-მა გამოაცხადეს რუსეთთან თანამშრომლობის შეწყვეტის შესახებ. იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთი საფრთხის მე-3 დონედ დაასახელა, რაც გულისხმობს რეკომენდაციას რუსეთის ფედერაციაში ნებისმიერი მოგზაურობის გაუქმების შესახებ.

ქალები სამხედრო სექტორში. 2021 წლის დასაწყისიდან უკრაინის შეიარაღებულ ძალებში 57 000 ქალი იყო ჩარიცხული, რაც მთლიანი რაოდენობის 22,8%-ს შეადგენს, ვაისი-ს ცნობით, უკრაინის თავდაცვის სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით. ეს მაჩვენებელი ბევრად აღემატება მის მეზობელ პოლონეთს (7.5%) და რუსეთს (4%), ასევე აშშ-ს (16% ტ) და გერმანიას (12%).

დეზინფორმაცია. რუსული მედია წერს, რომ უკრაინის შეიარაღებული ძალები ბომბავენ დონბასის ინფრასტრუქტურას და აჩვენებენ სხვა რეგიონებში რუსი სამხედროების მიერ განადგურებული ობიექტების კადრებს. რუსეთი აგრძელებს უკრაინის მხარის მშვიდობიან მოსახლეობაზე თავდასხმაში დადანაშაულების ტაქტიკას. ამრიგად, არსებობს რუსული ცნობები, რომ "უკრაინელი ნაციონალისტები მარიუპოლში იყენებენ ტერორისტულ ტაქტიკას: ისინი ათავსებენ თავდასხმის სტრატეგიულ წერტილებს სახლებში, რომლებზეც ადგილობრივი მოსახლეობა ტოვებს აბრას "არ ისროლოთ- აქ აბავშვები არიან". გარდა ამისა, რუსეთი ამტკიცებს, რომ სამი საათის განმავლობაში უკრაინის ჯარების და „ნაციონალისტების“ 172 თავდასხმა დაფიქსირდა გამოცხადებულ ექვს ჰუმანიტარულ დერეფანზე. რუსეთი ასევე აქტიურად ავრცელებს ახალ სიყალბეს უკრაინის ტერიტორიაზე ბიოლოგიური იარაღის შემუშავების შესახებ. ასევე რუსული მედია ირწმუნება, რომ უკრაინის უსაფრთხოების სამსახური ხარკოვში რადიოაქტიური დაბინძურებით პროვოკაციებს ამზადებს.

რუსული ჯარები აგრძელებენ თავდასხმებს სატელევიზიო ანძაზე და რადიოკავშირის ანძებზე, რათა ჩამალონ საკომუნიკაციო არხები. ორშაბათს მელიტოპოლის რადიოკავშირის კომპი რუსულმა ჯარებმა დაიკავეს.

სტატისტიკა:

- 1,7 მილიონზე მეტი უკრაინელიმა დატოვა უკრაინა და გაიქცა ომისგან
- უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალურმა შტაბმა გამოაცხადა რუსი სამხედროების საერთო სავარაუდო დანაკარგები 2022 წლის 8 მარტის დილის 6 საათისთვის: ჯარი - 12 000-ზე მეტი, ტანკები – 303, APV – 1036, საარტილერიო სისტემები - 120, MLRS - 56. , საზენიტო საბრძოლო სისტემები - 27, თვითმფრინავი - 48, შვეულმფრენები - 80, მანქანები - 474, მსუბუქი სიჩქარის კატარღები - 3, საწვავის ავზები - 60, უპილოტო საფრენი აპარატების ოპერატიულ-ტაქტიკური დონე - 7.

ყოველი ქმედება მნიშვნელოვანია, მიუხედავად მისი სიმცირისა!

- მიჰყევით ბმულს, და გაიგეთ თუ როგორ დაუჭიროთ მხარი უკრაინას სანდო ორგანიზაციების სიის დახმარებით.
- გააზიარეთ თქვენი ისტორია უკრაინის შესახებ - თუ გიმოგზაურიათ აქ ანთუ გყავთ მეგობრები. გაავრცელეთ ინფორმაცია უკრაინის შესახებ.
- გააზიარეთ სიმართლე - გაავრცელეთ ინფორმაცია ამ განახლებისა და ვებსაიტის შესახებ.

მადლობა უკრაინის მხარდაჭერისთვის! დიდება უკრაინას! დიდება უკრაინას!